საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1277/01
10/02/2022

1277-01-2-202202101747

შპს „ვაგის"

მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 139, ბინა №41

ელ.ფოსტა: gvinepadzefridoni@gmail.com

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 14 იანვრის №408 განცხადება, რომელიც ეხება ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ტერიტორიაში შემავალი ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 31.17.21.002) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში, სატიტულო გვერდზე, დოკუმენტის სათაურად მითითებულია ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, ხოლო შესავალ ნაწილში, სკრინინგის განცხადების წარმოდგენის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-5 მუხლის 5.1 ქვეპუნქტი და მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტი. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს კორექტირებას და და დაგეგმილ საქმიანობასთან შესაბამისობაში მოყვანს;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ვაგიმ" არსებული სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმო, რომელიც ფუნქციონირებს 2007 წლიდან, შეიძინა შპს „გელათი 2007"-სგან და 2021 წელს უზრუნველყო საწარმოს წარმადობის გაზრდა და შიდა მოხმარების მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავის განთავსება, შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ „წარმადობის მომატების პირობებში სატრანსპორტო ნაკადების რაოდენობა გაიზრდება, მაქსიმალური წარმადობის პირობებში 4 რეისით", დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში ნედლეულის ტრანსპორტირების საკითხი, კერძოდ, დღეში განხორციელებული სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 180 მეტრის დაშორებით მდებარეობს მცირე ზომის ფერმები, შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იქნეს მიმდებარედ არსებულ ფერმებზე შესაძლო ზემოქმედების საკითხი;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე დიზელის საწვავის შესანახად მოწყობილია მიწისზედა ავზი (20 000 ლ) და ჩამომსხმელი სვეტი, თუმცა, დაზუსტებული არ არის ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარის სასუნთქი სარქველებისა და გადახურვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სახიფათო ნარჩენების განთავსების საკითხი;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციის თანახმად, წყალაღება ხორციელდება მდინარე კორისწყლიდან, თუმცა, სკრინინგის განცხადებაში მითითებული GPS კოორდინატები არ ემთხვევა აღნიშნულ ზედაპირული წყლის ობიექტს, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს თუ საიდან ხდება წყალაღება, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებული არ არის სალექარის ტექნიკური პარამეტრები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოო მიზნით წყალაღება გათვალისწინებულია მდ. კორისწყლიდან, საიდანაც ტექნიკური წყალი ტერიტორიამდე მოდის ღია არხით, თვითდინებით და ჩაედინება წყალმიმღებ გუბურაში, წყალმიმღები გუბურადან ტუმბოს საშუალებით მიეწოდება ტექნოლოგიურ პროცესს. დაზუსტებას საჭირებს გუბურის მოცულობა და ტუმბოს ტექნიკური პარამეტრები;
- შესწორებულ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ შენიშვნებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია, ერთიანი ცხრილის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე